# ტარტაროზი



სოც.-დემოკ.: — ნუ გჯერათ მათი! ისინი რა სოციალისტებია, როცა სოციალიზმს თავის ქვეყანაში აშენებენ?

№ 27(261) 20 ივლისი 1930 წ. ფასი 10 კაპ.

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
12 568

# „გალმა შედავების“ პოლიტიკა

დღე᾿ დილით ბათლომეს ადრე გამოეღვიძა.

საათს დახედა, საწოლზე ერთხელ გაიზმორა და გაიწვართა, შემდეგ წამოხტა და აჩქარებით დაიწყო ტანზე ჩაცმა.

— დღეს თუ გადავრჩი, მერე არა მიშავს! — ჩაილაპარაკა თავისთვის.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისაუზმა, ახალგაზრდა ცოლს ემბორა და სამსახურისაკენ გაეშურა.

დარაჯმა სალამის მიცემაც ვერ მოასწრო, კაბინეტის კარი გაუღო და გაკვირვებით თვალი გააყოლა კაბინეტში შემავალ უფროსს, რომელმაც მისთვის მხოლოდ დღეს გაიმეტა სალამი.

— ნეტავ რა მოსვლია, რომ ასე ადრე მოვიდა სამსახურში? — გაიფიქრა დარაჯმა, რომელსაც უფროსი „ჭირივით“ ეჯავრებოდა.

— დღეს რაღაც ამბავია მაგის თავზე. სალამიც არ დაიშურა ჩემთვის,— ამბობდა თავისთვის დარაჯი.

— ნიკო, ნიკო! — გაისმა კაბინეტიდან ძახილი.

დარაჯი უფროსის წინ იდგა.

— ნიკო, შენ ხომ იცი, რომ სამსახურიდან უმიზეზოთ არ დამითხოვიხარ. ხომ იცი, რომ ჩემს კაბინეტში დაკარგულ ნივთების წაღებას შენ გაბრალიდნენ. მიუხედავად ამისა, შენს მდგომარეობაში შევედი და ხომ ხედავ სამსახურში აღგადგინე, მხოლოდ იცოდე, საქმეში ერთგული უნდა იყო. პასუხისმგებელი ბოლოს და ბოლოს მე ვარ და არავინ სხვა. ხომ მართალია?

— დიახ, მართალია! — დაუმოწმა მას ნიკომ, რომელიც გულში ზიზღით იხსენიებდა მას.

— ადგილკომის და უჯრედის ხალხს კი მაინც ვერ გავაგებიე. მათ რა ენაღვლებათ. პასუხი მე უნდა ვაგო. ხომ მართალია? — ცბიერი ღიმილით შეეკითხა ბათლომე დარაჯს.

ნიკომ სიჩუმე არჩია.

— ჰო, და ის მინდოდა მეთქვა, — განაგრძო ბათლომემ, — პირველ ყოვლისა საჭიროა ერთგულება სამსახურში. მართალი უნდა გითხრა, შენი მადლიერი არ ვარ, შენი გულისათვის სად არ ვიყავი, საკონფლიქტო კომისიებში, შრომის კომისარიატში და ვინ იცის კიდევ სად... მიუხაყვედურა ბათლომემ ნიკოს, რომელსაც ტყვიასავით ხვდებოდა გულში ბათლომეს სიტყვები, რადგან მას ასეთი საყვედური არ დაუმსახურებია. ათი წელიწადია, რაც ამ დაწესებულებაში მუშაობდა ის და სანამ ბათლომე არ გახდებოდა გამგეთ, მანამ ნიკოსათვის არავის შენიშვნა არ მიუცია. ის ყოველთვის სამაგალითო თანამშრომლათ ითვლებოდა, მხოლოდ ბათლომემ აითვალისწუნა ის. მიზეზი გამოუნახა და სამსახურიდანაც დაითხოვა.

— მიზეზათ მას მოყავდა, თითქოს მის კაბინეტში დაკარგული ნივთები ნიკოს ბრალი ყოფილიყოს.

ნიკოს ადგილზე ბათლომეს განზრახვა ჰქონდა მიეღო თავის ახალგაზრდა ცოლის (თვითონ ორმოცდა ხუთმეტი წლის იყო) მეგობრის ნაცნობი.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ნიკო აღდგენილი იქნა თავის სამსახურში სათანადო ორგანოების მიერ.

— ეს ხომ „დავამუშავე“ — გაიფიქრა ბათლომემ, როცა ნიკო უფროსის კაბინეტიდან გავიდა.

და მან შეუდგა სხვების „დამუშავებას“.

**12 საათზე მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ბათლომე უნდა გამოსულიყო მოხსენებით დაწესებულების** გეგმიანი მუშაობის შესახებ, რომელზედაც ის მოელოდა მის წინააღმდეგ ზოგიერთების გამოსვლას და ემზადებოდა, რომ მათ „ხელცარიელი“ არ ახვედრნოდა.

— ისინი მასწავლიან ბრძოლას?, ბათლომე არ ვიქნები, თუ ტყავს არ გავაძრობ მაგათ — ამბობდა ბათლომე და ნიშანში ამოღებული ყავდა ადგილკომის თავმჯდომარე, კომუჯრედის და კომკავშირის მდივნები და რამდენიმე თანამშრომელი აქტივიდან.

მან წინდაწინვე იცოდა, რომ მის წინააღმდეგ აყენებდენ სხვადასხვა ხასიათის ბრალოიბებს, ბიუროკრატობას, საქმისადმი გულგრილობას, პროტექციას, მოსამსახურეთა უმიზიზოთ დათხოვნას და სხვა.

— ბრძოლაში სტრატეგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა ხან მოგერიება, ხან შეტევაზე გადასვლა, დღის მე შეტევაზე უნდა გადავიდე, ნაცადი მაქვს „ გალმა შედავების“ პოლიტიკა ხშირად იმარჯვებს, ამბობდა თავისთვის ბათლომე და ნიშანში ამოღებულთ წინააღმდეგ შეთხზულ მასალებს პაპკაში აწყობდა.

დანიშნულ დროს კრება გაიხსნა. ბათლომემ „ბრწყინვალით“ დაასრულა თავის მოხსენება, როგორც „მისი ხალხი“ ამბობდა. მოხსენებაში ის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი პარტუჯრედი და ადგილკომი მას კი არ ეხმარებოდენ მძიმე მუშაობაში, არამედ ხელს უშლიდენ.

ბათლომემ „მჭერმეტყველურათ“ დაასრულა თავის მოხსენება, რომლის შემდეგ გაიმართა გაცხოველებულ კამათი.

— როგორ, თვითონ ბიუროკრატი, სხვებს უწოდებს ბიუროკრატს? თვითონ პროტექტორი სხვებს უკიჟინებს პროტექტორობაზე? თვითონ კომყოყოჩი სხვებს სწამებს ყოყოჩობას? გამოდის, რომ კომუჯრედის და ადგილკომის ბრალი ყოფილა ისიც, რომ მან უმიზეზოთ დაითხოვა თანამშრომლები. გამოდის, რომ თვითკრიტიკას ის კი არ ებრძვის, არამედ ჩვენ — მუშამოსამსახურენი. — ამბობდენ კამათში გამოსული ორატორები.

კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო და მისი გაგრძელება გადატანილი იქნა მეორე დღისათვის.

ბათლომემ მეორე დღეს ტელეფონით აცნობა თავის მდივანს, რომ ის უეცრად ავად გახდა და საერთო კრებას ვერ დაესწრებოდა.

„გალმა შედავების“ პოლიტიკა ბათლომესათვის უვარგისი გამოდგა.

**ნიანგი.**

## დ რ ო ა!



**— ცეცხლის მქრობელ რაზმიდან ვარ, ლუმელი უნდა გავწმინდო!**

**— ლუმელს რად უნდა გაწმენდა! სამი წელიწადია ცეცხლი არ დამინთია; ჩვენი ადმინისტრაცია ყოველ ზამთარს უშეშოდ გვტოვებს; წელსაც ალბად ასე იქნება; ჯერ აზრადაც არ მოსვლია შეშის საკითხი.**

# ცერგიბელის ფრთების ქვეშ

მეორე ინტერნაციონალის რეზიდენცია გადავიდა ბერლინში

დეპეშებიდან




## ძაღლი—ძაღლის ძვალს არ გასტეხს

„ყალბი ჩერვონცების დამამზადებელ ქარუმიძეს და მის დამქაშებს გერმანიის ბურჟუაზიული სასამართლო დიდ მფარველობას უწევს და ცდილობს მათ სისხლის სამართლის დანაშაულს — პოლიტიკური ხასიათი მისცეს. პირველ გასამართლების დროს სასამართლომ დამნაშავეებს ამნისტია შეუფარდა და დაუსჯელად დასტოვა. მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, ამჟამად სწარმოებს ქარუმიძის ხელახალ, გასამართლება, რომელიც ამჟღავნებს ფაშისტური ემიგრაციის სამარცხვინო დანაშაულობას".

გაზეთებიდან.

თემში ყადი აირჩიეს.
და ეს ყადი წინად თურმე,
ყაჩაღობდა, გზად ხძარცვავდა,
ქარავნებსა, ხალხს თუ ურმებს!
ამ დიდ გზაზე მთყაჩაღეს,
ბლომად შყავდა მეგობრები
და ერთურთის გატანისას
წესს იცავდენ მეკობრები;
მათ ხელობა აერთებდა
და ცხადია, სთვლიდენ ვალად:
ერთის ბნელი ნასაქმარი
რომ მეორეს დაემალა.
და ეს წესი ყადსაც გაჰყვა
როცა იგი გახდა ყადათ:
მის სამსჯავრო აფაზაკებს
ამართლებდა მუდამ ცხადათ.
ერთ დღეს მასთან, ვით მსაჯულთან,
ერთი ქურდი წარადგინეს;
ამცნეს მისგან ჩანადენი,
გამკოცხეს და თან აგინეს.
უთხრეს: — „ყადო, ამ ყაჩაღმა
ეს აქლემი მოიპარა;
მიითვისა, ამუშავა,
მთა და ბარი მოატარა
და როდესაც დავიჭირეთ,
მან ქურდობა იუარა;
გთხოვთ განსაჯო: ჩაქოლვისა
ღირსი არის ის თუ არა?!

---

ყადმა გვერდზე ჩაიცინა,
იცნო მოძმე ქურდის სული,
და მომჩივანთ მიუბრუნდა
მრისხანე და გულმოსული:
— უგუნურნო, თქვენ რა იცით
რა სიკეთე სწადდა ქურდსა?
თუ აქლემზე შეჯდა, სჩანს, რომ
უსწორებდა მას ზურგს მრუდსა!..
მრუდი საქმე ღმერთს არ უყვარს.
აქლემს კი აქვს მრუდე ზურგი
და სიმრუდის გასწორება
განა არის დასათურგი?
ო, პირიქით, შაბაშ მაგას.
ჯილდოთ ვაძლევ მაგ აქლემსა
და ალლახთან კურთხევასაც
თან გავატან მაგას ჩემსა!"...

---

ამ ძველ ყადის ძველ განაჩენს
დღესაცა შყავს გამსალები,
დღესაც ასე „სჯიან ქურდებს
დიდ შარა გზის ყაჩაღები
აი ამის მაგალითი
სასირცხვილო შავი ლაქა:
ქურდბაცაცა ქარუმიძე
გავიხსენოთ თუნდაც აქა,
რომ ამ მელას „საქათმესთან"
ნაქურდალზე მოატანეს —
დასასჯელად (ვით წესია)
ისიც ყადთან მიიყვანეს!
იქ აღმოჩნდა, რომ ამ მელას
სხვა „მელებიც" მხარს უმშვენებ,
ვინც თანაბრად მასთან ერთად
ქურდობენ და მასვე შველენ.
ყველა ჯურის ნაძირალი,
ყველა ჯურის დანალექი
მშრომელ ხალხის მტრად ნაგულ
ნაპანღური — განარეკი,
მის გარშემო დარაზმულა:
„სასახელო ღვაწლისთვისა",
რომ ქურდობით მშრომელთ ზარჯზე
გაისქელონ მათი ქისა.
მაგრამ ყადი ვილას აცლის?
მათ უცოდველ კრავათ ხატავს
ყაჩაღს ქურდის დასაცავად
ყველა გზები მოუნახავს!
მაგრამ არის დაბრკოლება, —
და საკმაოდ არსებითიც:
დღეს მათ „ყადურ" სამსჯავროს წინ
აღიმართა მშრომელთ თითი
და სწერს მგზნებარ რისხვის სიტყვებს:
„მენე თაკელ, თაკელ ფარეს"*)
ყაჩაღებმა; ყაჩაღება
კმარა რაც რომ შეათვარეს.
ვერვინ იხსნის მშრომელთა მტრებს
ქურდბაცაცა ყალბის მჭრელებს
თვით მშრომელი ხალხის რისხვა
ძირში მოსტეხს მაგნე ხელებს!..

ჩანჩაშვილი.

---

*) „მოდის აღსასრულის დღე".

# „ს პ ე ც ე ბ ი“




ტფილისის განათლების განყოფილებას ასობით აწყდებიან სხვადასხვა დაწესებულებიდან გაწმენდილი ყოფილები და უვიცი ელემენტები, რომლებიც მოითხოვენ ქართული ენის მასწავლებლის ადგილს, როგორც სპეცები.

—გური.

ეგერ ძველი მეეზოვე—
რომ ჰგვიდა ქარვასლას—
ქართულ ენის
მასწავლებლად
ელოდება წასვლას.
აქ „კოლამან“,
იქ საქული—
„საპოჟნიკი“ — სპეცი— ,
„არზასა“ სწერს:
„ქართული ენის
უროკი მომეცი“...

ის ფოსტაში არ გამოდგა
დამტარებლად ფოსტის,
ვინც იგონებს მის „სპეცობას
ყველას გული მოსდის,
ამანათზე თუ წერილზე
ვერ არჩევდა ასოს
და ვასოსთვის
მოსულ ბარათს
უგზავნიდა ტასოს.
დაითხოვეს.
აუკიდეს
ნაბადი და გუდა
მაინც მიწა ხამლად უჩანს
და ცა კიდევ ქუდათ.
„ნარობრაზის“ გამგის წინ სდგას,
ამბობს:
-ვარ მე სპეცი,
ქართულ ენის მასწავლებლის
ადგილი მომეცი!

ეს ჭალარა ქალბატონი
„დამოჩკაა“ ძველი,
მისი ქმარი — გენერალი
იყო ნიკოს მცველი.—
და „ღამოჩკა“ ბალეტებზე
ხტოდა, როგორც კვიცი
თან ამბობდა ის ამაყად:
„კარტოლი არ იცი“.
დრო გავიდა. „ყველა უარგი“
დრომ თან წაიტანა
და ცხოვრება თფილი, რბილი
ნიკოს გაყვა თანა.
პური არ აქვს ექსქალბატონს,
კუჭმაჟიც აეწვა,
მოიხრუკა; ჩამოჭკნა და
გახდა ერთი ბეწვა.
ნება მისცა, — ბრაზით მუშებს
გადაყლაპავს უმათ,—
მაინც საბჭოთ აპარატში
მოკალათდა ჩუმად.
გასწმინდეს და
თითქოს ფრჩხილიც
არ სტკენოდეს თითის—
გულს არ იტეხს „ნარობრაზზე“
იერიშით მიდის:
„აბრატიტე ვნიმანიე;
სლუშაიტე, კორნელლი!
მე კარტოლი კარგად იცი,
ვარ „კნიაგინა“ ძველლი
აკაკია ჩავჩავაზე
ცერეტელ ილია
ია სლიხალა,
ი ვიდალა,
ლიჩნო ზნალა ია.
პროლეტარსკიე პაეტი
კვეკანას მირჩევნია,
კარტოლ ენის მასწავლებლის
დაიტე ნაზნაჩენია!“

არტისტულად გაპარსული
ერთ დროს წვერ-ცანცარა,
ქაცარავას კაბინეტთან
ბრუნავს როგორც ჯარა.
ნიკიფორე გახლავთ იგი
ძველი დიაკონი,—
ხატებს ძალა დაეკარგათ,
შემოაკლდა ქონი.
„სპეცი“ არის!—
არ სჭირდება
ლალადყოფა ფიცის,—
მთაწმინდელის სახარება
სულ ზეპირად იცის.
ქართულ ენის მასწავლებლად
დანიშნავენ,—წავა.
ასეთია „ნარობრაზში“
„სპეცების“ „აბლავა“.

**მედუზა.**

# მაინც მოტყუვდა

(ნამდვილი ამბავი)

ის მუდამ ფიქრობდა და ვერ მოეფიქრა, თუ როგორ დაემალა გაიმასქნებული თანხა.

დაწესებულებამ წინადადება მისცა, რომ დაეფარა დავალიანება ჯამაგირით.

— ვა, რა ხალხია! ჯამაგირი საქეიფოთ არ მყოფნის. ეს როგორ შეიძლება? აქ კვაჭობა არის საჭირო!

ცოლიც ხშირად ურჩევდა, რაიმე გზის გამონახვას.

და ერთ დღეს მან საქონლის შესაძენათ მიიღო ფული. მოღიმარი სახით ჩააწყო პორთფელში, გამოისეირნა ქუჩაში და...

აღელვებული შევარდა სამილიციო კომისარიატში.

— დავიღუპე, ფული დამეკარგა!

— თქვენი გვარი?..

— ჩახვავა.

— პროფესია და თანამდებობა?

— მოსამსახურე, საქართველოს ნედლეულის აგენტი - ექსპედიტორი.

— დაკარგული ფულის რაოდენობა?

— ოთხასი, არა ოთხასი ათასი მანეთი?

— სად დაგეკარგათ?

— არ ვიცი.

— ვინ ამოგაცალათ?

— მგონი ჯიბგირმა.

— დიდი იყო თუ პატარა?

— დიდი...

— ქალი იყო თუ კაცი...

— კაცი იყო.

— საკმარისია, შეგიძლიათ წაბრძანდეთ, თავისუფალი ბრძანდებით. —უთხრეს ჩახვავას.

ის გახარებული გამოვიდა კომისარიატიდან და სახლისაკენ გაუდგა გზას.

სახლში მისვლისთანავე ცოლს შიახარა:

— ლილი, ლილი, ხლაფორთს გადავრჩით. აი, ეს სახაზინო ფულები— და პორტფელიდან მაგიდაზე ამოალაგა ჩერვონცების შეკვრა.

თითქოს დამეკარგა, ასე განვაცხადე მთავრობაში. გზა - კვალი დაუბნიე. ხახვივით შევჭრჩება. აწი ხომ აღარ მისაყვედურებ!

— ოი, გენაცვალე ყაყრანტოში, ჩემო მშვენიერო, ბარე ხუთი - ექვსი ქმარი გამომიცვლია, მაგრამ არც ერთიდან არ მახსოვს ასეთი თავგანწირვა. გენაცვალე! — და ცოლის წითელი სალებავებით შეღებილი ტუჩები შეეხო ქმრის ნაცრისფერ ლოყებს.

დღეებმა გადიჯირითეს...

ბოროტმოქმედებას სავსებით აეხადა შავი ფარდა და...

და ჩახვავა დააპატიმრეს.

**ძირულელი თალა.**

# კოლხიდის მადათოვის ჭაობი

„დაიწყო კოლხიდის ჭაობის ამოშრობა“.
„მადათოვის კუნძული ჭაობად და ბაყაყების სამუდროდ გადაიქცა“. (გაზეთებიდან).



— საითკენ გადგომიხარ გზას?
— ტფილისისაკენ მადათოვის კუნძულზე. ამბობენ— იქ ჩვენები კარგად ცხოვრობენო!
— მეც თქვენთან წამოვალ, თავს უნდა ვუშველო, თორემ ეს კოლხიდის ჭაობი, მალე გადაიქცევა ბალად!

## საჯავახოს საბჭო
### (ქუთაისის ოლქი)

თუმცა წერილთვის ვიგემე
ხშირად დევნა და წამება,
მაგრამ მას შემდეგ დრომ განვლო
საათებმა და წამებმა.
დღესაც სოფელმა მომმართა
ზოგთაგან განაწამებმა,
რომ ლექსი გადმომეგზავნა,
რითმა რითმაზე წამება.

—:—

ამ თემში (ვაზის უბანში)
არის საბჭოთა მამული,
გამგე ძნელაძის წყალობით
ცოდვებით გადანამული.
თვითკრიტიკისთვის ლოჩია
მუშა მოვიხსნა, აწამა.
თუმც აღადგინეს, მაგრამ ხომ
ტანჯვის ცრემლები ანამა.
რაფიელი და ამბროსი
ცხენებათ გადააქცია,
დილიდან საღამომდე მათ
აჰკიდა რკინის ფარცხია.
ფარცხავდენ მიწას ბედკრულნი,
ფართობი ოფლით ირწყვოდა.
პასუხს აგებდა ძნელაძე,
ნეტავი რათ არ ილოდა?
ის ახალ წესებს, ვიტყვი, რომ
ჯეროვად ვერ შეჰგუებია
ნიკოლეიშვილს ცემითა
ფერდები დააგდებია,
დარაჯათ და მეჯინიბეთ
არის სამსონი ეული,
ქადსაც კი უცხობს ის გამგეს
(გამგეა, ხედავთ რჩეული)·
შენობა ნახოთ გაჰკვირდეთ,
კედლები იცრემლებიან,
მაგრამ მოთქმანი იმისა
გულში არავის სწვდებიან.

—:—

აწ კი ვესტუმროთ მეორეს
ფოსტაში, საჯავახოში
შეხვალ და დაგიღრიალებს,
(რა ქნას? ასე აქვს მას ხოში)
23 ივნისს შეველი,
მსურდა ბილეთი მეყიდა
და ალექსანდრე ჩხენკელი
(გამგეა) გადამეკიდა:
— ვინ გკითხავს რომელ საათზე
ეტლისას ყიდი ბილეთსო;—
მე ვალდებული არა ვარ
შეგხვდე პასუხით მილეთსო.
თურმე გაჰყიდეს ბილეთი
ნაცნობში, მეგობრებშიო,
(შალვასა ვნიშნავ მე. მოწმეთ
აბა, ვინ სტყუა ჩვენშიო)

**შახლინსკი ბომბ.**

უმაღლეს სამოსწავლო ორგანოებში წარსადგენად ახალგაზრდა მხატვრებს სამუშაოს უხატავენ ძველი მხატვრები.



ახალგაზრდა მხატ:—ამისათვის რაღა მასწავლებელს ვეხვეწებოდი, ამაზე უარესს არც მე დავხატავდი!

## ლ ი ლ ი ნ ი

### ქუთაისი

სახელად მქვია აკაკი,
გვარად ვარ იაშვილიო,
ძველი ბრწყინვალე წოდების
და არა გლეხის შვილიო.
სასამართლოში მდივნათ ვარ,
კაცო რის არ ვარ მქნელიო.
ჩემთან „ქვაჭიც“ კი ნოლია
ვარ ჩინოვნაკი ძველიო.
წმენდიდან ისე გამოვძვერ,
ვით ხაფანგიდან მელაო;
პროკურორმაც კი დამიცო,
სიმართლე გადათელაო.
სხვებს ვამუშავებ, მე კი ვჭამ
და ვხტივარ, როგორც ვაციო.
ვინ რას დამაკლებს,—სანამ მყავს
მე სიძე „დიდი კაციო“.

სანჩო.

# „ტარტაროზმა“ ვერ გვიშველა

## გამართლდა მისი წინასწარმეტყველება

როდესაც ამ წერილს ვსწერთ, ჩვენს წინაშე გადაშლილია გასული წლის „ტარტაროზი“-ს კომპლექტი, ჟურნალის № 41(225), 6 ოქტომბერი გვერდი 8-9. სადაც თეთრზე შავად შემდეგი სწერია:

„სოფელი უჩხობი პარში აქვს მიცემული ნატანებს. პირველად ეს გიჟი მდინარე ამ სოფელს ეცემა. შემდეგ კი... ვინ იცის რამდენ სოფელს წაიღებს. ოზურგეთს გაუვლის და... ისევ გამიელვა თავში ჩემდაუნებურად:

მაზრაღმასკომო, ნეტავი,
არ დაგძინოდა ნარზედა.
გამოგიქროლებს ეს წყალი,
წაგიყვანს შავსა ზღვაზედა.

ვნახეთ დამბები, საწყალი დამბები, . მლებიც ნატანების პირველ იერიშსაც ვერ გაუძლებენ.

— ამ მდგომარეობის ასე დატოვება სასტიკი დანაშაულებაა! — ვუთხარი ალმასკომის თავმჯდომარეს.

— ხუთწლიან გეგმაში შეტანილი უნდა ჰქონდეს ამ დამბების საფუძვლიანად გაკეთება.

— კი, მარა თუ ნატანებს ერთ წლიან გეგმაში აქვს შეტანილი აქეთ გადმოვარდნა და ჩვენი წაღება?!“

დიახ, ასე სწერდა „ტარტაროზი“ გასულ წლის ოქტომბერში. მას შემდეგ მხოლოდ ცხრა თვე გავიდა და ნატანებმა თავისი „ერთწლიანი გეგმა“ ცხრა თვეში შეასრულა: 24-25 ივნისს მოვარდა ცოფიან ფაფარაყრილ ლომივით, გაანადგურა „საწყალი დამბები“ და აიღო რა პირველი ფრონტი სოფ. უჩხობი, მოსდგა ქვემო სოფლებს.

ეს ამბავი დილით მოხდა.

გაჩეხილ ტყეებიდან მოვარდნილმა ნატანებმა მხოლოდ ოზურგეთში შეისვენა და იშოვნა დრო ესაუზმა— ჩაი დაელია. (შაქარი კი ბლომად ჰქონდა „ეპო“-ს აგარაკ ბახმაროსათვის).

—ოღონდ მთლად ნუ წაგვიღებ, და ორი ვაგონი შაქარი მიირთვი ჩაიზეო!

უთხრეს მას მორიდებით.

— ჩვენი რა ბრალია, რომ ნატანები არავითარ წინასწარ შემუშავებულ გეგმას არ ემორჩილებოდესო! — თავს იმართლებს ზოგიერთი, ვისაც ის საქმე უშუალოდ ეხება.

— თქვენი ბრალიც არის, თავის დროზე ყურადღებას არ აქცევთ საქმეს, თორემ ჩვენი მთავრობა, რომელიც აუარებელ ფულს ხარჯავს სოფლის კეთილმოსაწყობად, აშრობს ჭაობებს, აკეთებს გზებსა და ხიდებს, დავიჯერო ნატანებს კისერს ვერ მოუგრეხდა!? მთელი ხალხი მზადა ვართ გვერდში ამოვუდგეთ მთავრობას, არ დავიშუროთ ჩვენი შეძლება. აი, ასე გაკეთდება საქმე!— დაასრულა სიტყვა ერთმა მოხუცმა და ჩიბუხი გააბოლა.

ამხ. ტარტაროზო, ეს ამბავი ჩემი თვალით ნახულია.

ვისურვებდი, ამ წერილს ისეთივე ბედი არ მოსვლოდეს, როგორიც ხვდა შარშანდელ ასეთივე წერილს, ე.ი. რომ გამართლდა მისი წინასწარმეტყველება და „ტარტაროზმა“ ვერ გვიშველა.

ი. ხ.

# ქუთაისის საპარიკმახეროში



— მშვიდობით, ჩემო ცოლშვილო!

# აგრონომი

— მოსავლის აკრეფას, ამხანაგო გლეხებო, დიდი მნიშვნელობა აქვს, — დაიწყო „აგრონომმა" ლექაძემ თავისი განმარტებითი კამპანიის შესავალი სიტყვა. იგი სოფელში იყო გაგზავნილი მოსავლის აკრეფის კამპანიის ჩასატარებლად. — თუ მოსავალი არ აკრიფე, ყანა გაფუჭდება და არ ივარგებს. ამიტომ ჩვენი ვალია ავკრიფოთ მოსავალი...

გლეხებში ღიმილი გამოიწვია ამ გულუბრყვილობამ. ეს ღიმილი არ გამოპარვია დაკვირვებულ „აგრონომს".

— მე ვხედავ, რომ კულაკური ელემენტები აქ იცინიან, რადგანაც ისინი ცდილობენ არ აკრიფონ მოსავალი და ამით ხელი შეგვიშალონ. მოსალოდნელია, კულაკებმა ერთი ტარო სიმინდიც არ მოსტეხონ ჩვენს ჯიბრზე, მაგრამ ჩვენ მათ უნდა დაუპირისპიროთ სამკალი მანქანები და სიმინდი დროზე გავლეწოთ. რაც შეეხება ლობიოს ტეხას, იგი ამ თავითვე უნდა მოიჭრას და კარგად დაიფშვნას...

ათიოდე გლეხმა ვეღარ გაუძლო ამ „კამპანიას" და წავიდა სამუშაოზე,

— კულაკებს არ მოსწონთ ჩემი სასარგებლო სიტყვები და მიიპარებიან, — გაცხარებით განაგრძო „აგრონომმა" და დაუმატა: — ვისაც გული შეგტკივათ, გულდასმით ჩაატარეთ განმარტებითი კამპანია და მოსავლის აკრეფის დროს ნუ დაივიწყებთ, რომ ქერის და ჭვავის ტაროები გაუფშვნელად არ უნდა დარჩეს. არც ერთი ღერი სოია მოუკრეფავი!..

კრებაზე უკვე ორიოდე დარჩა. მოედანზე დადგმული მაგიდიდან ახლო შორიდანვე სჩანდა რადიოს ანძასავით ამართული „აგრნომი", რომელმაც დარჩენილ ორ გლეხს ცხარე სიტყვებით მიმართა:

— თქვენ ხართ ნამდვილი აგროაქტივი და პროლეტარული ელემენტები, თქვენ საუკეთესოდ გესმით მოსავლის მნიშვნელობა და ჩამოსული კაცის პატივისცემა. გარდა იმისა, რომ როგორც მე ვატყობ, თქვენ დღეს სადილად მპატიჟებთ, მე ვხედავ, რომ თქვენ ხართ საუკეთესო მუშაკები... რისთვის წავიდნენ ისინი? — იმიტომ რომ კულაკებს თანაუგრძნობენ, რისთვის დარჩით თქვენ?

— იმიტომ რომ ეს მაგიდა უნდა შევინახოთ, როცა თქვენ სიტყვას გაათავებთ, ეს ჩვენი კლუბის მაგიდაა, — თითქმის ერთხმად უპასუხა ორივე ახალგაზრდა გლეხმა.

შეურაცყოფილი „აგრონომი" მაგიდიდან ჩამოხტა, ცხენს მოახტა და სოფლიდან მოკურცხლა. გზადაგზა იგი ხედავდა კრების მონაწილე გლეხებს, რომლებიც გულმოდგინეთ „ლეწავდენ" სიმიდნს და „სტეხდენ" პურს.

— კარგი მოგივათ, კარგი მუშები თქვენ აყოთ, — წყენით ბუზღუნებდა აგრონომი, ჯერ განმარტებითი მუშაობა არ ჩატარებულა და ეგენი უკვე ათავებენ კრეფა-ტეხას... სად წავიდე ახლა ეს მშიერი კაცი?!.

მელითონე.

# დედა და შვილი

წერილი დედისაგან:

შვილო ქსენია, მე ძალიან კარგათ ვარ. შენ თუ ხარ კარგათ. სიზმრები მაქვს გლახა. თავი არ გაიცივო, თვარა ცხლანდელი ექიმები ვერაფერს გიშველიან. მღვდელთან რომ წავიდე, სამსახურიდან დაგითხოვენ, თვარა ონოფრე ისეთი მკურნალია, რომ მისი წამალი იმავე წუთში განკურნავს მომაკვდავი რომც იყოს კაცი.

ასე ნინა, იყავი კარგათ, მხოლოდ აწი თუ გათხოვდები, ქეა დრო. მონახე ვინმე ხეირიანი კაცი.

ჰო, მართლა ბებია შენია ავად. ექიმებმა ვერაფერი გაიგეს, თუმცალა მათთან ჯერ არ წამიყვანია. ონოფრესთან მინდოდა წამეყვანა, მაგრამ კომსომოლის მეშინია.

დედა შენი ნატა. (ქობულეთი, საბჭოთა მამული, ოჩხამურის ლიკსკოლის მასწავლებელს).

### პასუხი.

დედა, მივიღე შენი წერილი, ძალიან გამახარა, მარა ძალიანაც დამალონა, რომ ბებია ყოფილა ავად. აუცილებლად მიიყვანე ონოფრესთან. ის მოარჩენს. კომსომოლების ნუ ეშინია, კომსომოლი ვარ მე თვითონ, ვინ ჰკითხავთ მათ! მიიყვანე იცოდე.

ეხლა დედა, რა გითხრა იცი. შენ რომ მწერ, თუ გათხოვდებით, ქე არის დროიო, ეხლა კი არა, დიდი ხანია დროა.

როცა ხუცუბანში ვიყავი მასწავლებლად, ხომ იცი მაშინ, მქონდა იქ ერთ კაცთან საქმე, შენც კი გაიგებდი (შენ კი არა ვინ არ გაიგო), მარა ხალხმა მოიყარა თავი და კინაღამ მოკლეს: ქქვს ბალანს ატოვებინებ კაცს და შენ მიყობიო?

დედა ჩემო, ნათქვამია: სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, — სწორედ ჩემზედ ყოფილა თქმული..,

შემხვდა შენ რომ გინდოდა ისეთი კაციც, კულტმუშაკია. გვარად კალანდაძე; ბალნები ორი ყავს; მეტი არა, მარა მპირდება — შვილებს ქე გავატან ცოლს, რომ გაუშვებო. სულ მასან ვარ ქობულეთში. შევბუღლება გიყვარდეს, მისი საქმეა. ამას წინათ ერთი დღის შევბუღლება ვუთხარი და სამი იყოსო. წავედი და სამ დღეს ბათომში ვიყავი, თვითონაც მიშმვენებდა გვერდს. აგერ არის ამ წერილს რომ ვწერ და მითხრა: წადი დედასთან და მოელაპარაკეო.

ფული, მისი ცოლიზა რომ უნდა გაეგზავნა, მე მომცა. ცოლი გლახა წერილს სწერს — ბავშვები მიკვდება სიმშილითო, ფული გამომიგზავნეო, მარა, მე იმდენათ ვუყვარვარ, რომ მთელი ფული მე მომცა.

ჯან-ტიკო-ტიკო.

## შეცდომა

### ქუთაისი

შეჩერდი დაწესებულების წინ და ზულდასმით ამოვიკითხე აბრაზე:

„ღარებკომი“.

წინ შემეჩხა ერთი ნაცნობი კომკავშირელი, რომელმაც ჩემს შეკითხვას შემდეგი პასუხი გასცა:—ღარებკომი არის ღარიბ ებრაელთა კომიტეტი.

— ვინ ხელმძღვანელობს, თუ ძმა ხარ, ამ დაწესებულებას?—ვეკითხები მე.

— ექიმი მინოვიჩი, მისი ძმა ფერშალი მინოვიჩი...

— კი, მაგრამ ნუ თუ საავადმყოფოა?

— არა კაცო, აქ არის სავაჭრო და საწარმოო წერტები.

—მერე და რა შუაშია აქ ექიმ-ფერშლები.

— თუ მაცლი, ჩემო ძმაო, დავათავებ. ამ ორ ძმებს კიდევ ჰყავს მოწვეული „სამუშაოთ“ პირველ გილდის ვაჭრები: ისხაკ კაკიტელაშვილი, აბრამ ელიგულაშვილი და ლენინგრადიდან ჩამოსული ვაჭარი იაშა ციციშვილი.

ამ ვაჭრებსაც ჰყავთ მოყვანილი სამუშაოთ თავიანთი ბიძაშვილები და სიძეები.

ამ საუბარმა ძალზე დამაინტერესა და შევიპარე შიგ შუა გულ კომიტეტში.

მე დავრწმუნდი, რომ ამ ორგანიზაციაში მოკალათებული ყოფილა მდიდარი და არა ღარიბი ებრაელობა. წარწერა „ღარებკომი“ როგორც შეცდომა უნდა გადაკეთდეს, „მდიდარკომად“.

ხლისტი.

## საიდუმლო სერობა, ანუ ვახშამი

გამგე: — ჭეშმარიტად გეტყვით მე თქვენ: ერთ-ერთი თვენგა



## მეც უჩრეჟდ

მამა ჩემი ზიპოა შაქროს სამიკიტნოში მუშაობდა — არღანს უკრავდა. დედა ჩემი ურკოპის ძველ ტომრებს აპაჩნიკებდა. ღარიბათ ვცხოვრობდით. სადილს დღე - გამოშვებით ვჭამდით.

დედა ჩემი მთელი დღე სამუშაოზე იყო. მამა ჩემი კვირაში ერთხელორჯერ შემოდიოდა სახლში. მეც, უპატრონოთ და ავარათ ჩავარდნილი, ყომარბაზობაში და მამაძაღლობაში ვატარებდი დროს.

ერთ დღეს მეც დამიდგა კარგი დარი. ბაყალ პეტუშამ თავის ტაჩკის ვირის უპრავლიაუშჩათ დამნიშნა — პეტუშა სასწორით ხელში ხილსა ყიდდა, მე კიდევ პეტუშას ვირს, რომელსაც სახელათ „ჩემბერლენი“ ერქვა, ჭუჩა - ჭუჩა დავასეირნებრდი. ჯამაგირიც, ჭამა, სმა, თვეში ერთი წყვილი ადელხანოვის ჩუსტი და ათი მანეთიც ფულათ.

ერთ დღეს პეტუშა ავად გახდა. მუცელი მამულოვის ღვინის რუმბივით გაებერა. ორი კვირა იცოცხლა და მერე კი ფეხები გაფშიკა. პეტუშას ვერცხლის ქამარი გავაპრადალავე და ჩემი ხაზეინი ყაიდაში დავმარხე. პეტუშას ძმა-ბიჭებმაც დახმარება გამიწიეს. მახლას, ყველაფერი ისე ამოვიღეთ ჩუქურთმებში, რომ ამ სიძვირეში პატარა ქელეხიც გავმართეთ. კარგი ტარხუნა, შუშა კიტრები, გუდის, ქარვასავით ყვითელი მოთალი, ძეველოვის მაისის სოჩნი დოში, ცხონებული გიგოს მოხარშული ქალაქის ლოქო თავის ქინძით და ძმრით, ერთი შაყა თოხლის სამწვადე, ნიკოიას გამომცხვარი თეთრი პასკა პური და სამი ვედრაც კახური ღვინო (ფრანგიშვილ იაშას გურჯაანიდან მოუვიდა, ისეთია, როგორც მირონი). პეტუშას ცხონება უთხარით. ტერტერებიც ჩვენ ვიყავით და დიაკვნებიც. დღევანდელ თარილს ანგარიში გაუწიეთ და უჩხუბოთ დავიშალენით.

ამნაირად მე პეტუშას ნასლედნიკი გავხდი. ზამთრობით სადგურიდან ტაჭკით ბარგს ვეზიდებოდი, გაზაფხულზე წვანილეულობას ვყიდდი და ზაფხულში კი ნედლ ხილს.

მე და ჩემი „ჩემბერლენი“ ერთ ლუკმა პურს ალალათ ვჭამდით.

ყომარბაზობას და ეშმაკობას თავი დავანებე. ლიკვიდაცია - ნეგრამოტნაშიაც ჩამწერეს და ცოტა წერაკითხვაც ვისწავლე. ახლა ჩემ ტვინის კარობკაში სხვა აზრები დატრიალდა. ჩვენ ხანაში არ იქნება, რომ კავშირის წევრი არ იყო. საქონელი კერძო ბაზარზე არ იშოვება და კოოპერატივიც შენისთანა ქინტოს საქონელს არ მისცემს.

## ᲬᲛᲔᲜᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲜᲘ ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲡ ᲛᲔ!






## წერილი მეგობარს

გამარჯობა შენი ვალიკო. რავა ხარ? თუ' ა რა საკითხავია! ქალაქში რავა მოწყინდება კაცს. ვიკითხო აქანე ქუთაისის გადამკიდე ზემოურ აზნაურიშვილივით რო დევიარები მუცელ შენწლეული.

ქუთეისის შრომის ბირჟა რო ჩემი ხელით გადასაწვავია, ამას არ უნდა ბევრი ლარლილი.

წელიწადი და თორმეტი თვეა ერთი ადგილი ვერ მიშონა.

რას გიშონის, ბიძია, აბრეშუმის ქიასავით ახოვია თავზე პროტექტორები. (ჭირი გაწყვიტავს იმათ). რამდენი ახალი გამგე დანიშნეს, იმდენი ძმა-კაცები შეემატა. (შეემატათ ტანში სატკივარი). ახლაა მუქერია; მე ვერ ვიცნობ, თვარა სხვა ყველეი. (რა ვუთხრა ბაბიას, რომ მუქერიებსაც ვერ დოუმოყვრდა). ისე კი ვინ შეიწუხებს შენთვის თავს.

იწერები — დამაწინაურესო, გლავენი ზავედიუჩი ვარო. კაი საქმეა, შენ ნუ მომიკდევები, მარა პეტერე მეც წამწიე თბილისისკენ, მეიკიდე ჩემი მადლი. ეგება მოვშორდე ქუთაისის ბირჟას, თვარა ჩემი მტერია დიდი ხანი არ მეწეროს მის გადამკიდეს.

ქე ვიცი, თბილისში ბინის დიდი კრიზისია, მარა ნეუყელი შენისანა კაცმა ერთი ოთახი ვერ მიშონოს!

თუ კაცი ხარ ეს ერთი პატივი მეცი და მე ვიცი, თუ ჩამოდი იმერეთში რავალი ქალი გაგირიგო.

ოღონდ ქუთაისის შრ. ბირჟას მომაშორე და არ ვჩივი. რავა დევიჯერო ყოლგან ამფერი ბირჟა იყოს!

შენი აფხანიკი ლადიკო ავალიანი.

**ბახრო.**

## ᲝᲜᲘᲔ ᲒᲐᲕᲮᲓᲘ

ვენაცვალე ერკოოპს! გამომიყვანა პალაჟენიიდან. ძაგანიამ მოგვიწვია და ერთი ლაზათიანი რეჩი გვითხრა. ტაჩკები და ვირები მოგვყიდეთ და თქვენც სამსახურში აგიყვანთო. ტაჩკებს და ვირებს ტაქსა დაადეს და ჩვენც ჯამაგირი დაგვინიშნეს. ესე მოახდინა ერკოოპმა კინტოების და ვირების მობილიზაცია.

ჩემმა მზემ, მას შემდეგ თავს ისე ვგრძნობ, როგორც ღუბერნატორი. მართლაც მხოლოდ ეხლა ვიგრძენი, რომ მეც ადამიანი ვარ. მე კარგათ მეპყრობიან და მეც მყიდველებს სულ პოჟალუსტობით ველაპარაკები. არც გინება, არც ყვირილი და არც ჩხუბი და აყალმაყალი. ისე პატიოსნათ და ზრდილობით, ვიქცევი, გეგონება კატოა ყულჯანოვის პანსიონში ვარ გაწვრთნილი. კაცმა უნდა მართალი თქვას, ხანდისხან წააწყდები ვინმე უზრდელ და გაუთლელ კაცს, რომელიც ტყვილა-უბრალოთ შეურაცყოფას გაყენებს, მაშინ არც მე ვიყოფ სიტყვისათვის ჯიბეში ხელს. ძველი ხურჯინის ძირიდან ისეთ კურთხევა-ლოცვას ამოვალაგებ, რომ მოხარშული ქათამი სირცხვილით ქვაბში წითლდება. დაე, გაიგონ, რომ ჩვენც ხალხნი ვართ!

აი, ერთი სლუჩია. ერკოოპის კიტრსა ვყიდდი გალავინსკზე. თუ გემრიელათ არ იყვირე, ისე საქონელს, როგორ გაყიდდი?! მეც ვყვიროდი: „მადამჯან, კიტრი წაილე, შუშა კიტრი. ამ კიტრის გემო, რომ გაიგო, კიდევ მოხვალ ჩემთან".

მომვარდა ერთი ფხუკიანი მილიციონერი და მაგინებს, შუხვიე პერეულკაშიო, ტო ყურმუსაღ, პერეულკაში შაუხვიო, რა კადრაბანდასა ვყიდი? კიდევ მიყვირის. მეც ქრისტიანულ პასუხს ვაძლევ. მილიციონერი ბრაზზე სქდება. მეც აცტუპლენიას არ უკეთებ. ერთიც ვნახო, შემაგინა.

სულ ელენთები და ჯიგარი ამენთო. კაცი ერკოოპში მსახურობდეს, ჯიბეში სამი სხვადასხვა კნიშკა ედოს და ამნაირი აბიდა მიიღოს?!

ძალიან ვაჟნობა გამოვიჩინე და რუსულათ უთხარი:

„აჰ ტი ნეობრაზოვანი ჩუდაკ. კაკოი ია ტეპერ კინტო. ნა ტაჩკე ნე ვიდიშ ვივესკა? ტეპერ ია ი მოი იშაკ - ერკოოპსკი უჩრეჟდენიე. ბოლშე ტაკოი კისლი სლოვა ნე გავარი, კაკ კინტო, ატო პაიდუ საიუზ ნა ტებე ჟალოვაცია".

მილიციონერმა ერკოპის სახელი, რომ გაიგო, ჩესტი ამილო. მან საბოლოვოთ დამარწმუნა, რომ მე გავმხდარვარ პოლნოპრავნი სოვეცკი ჩელოვეკი.

**ᲕᲘᲜᲛᲔ.**

# კინწის კვრით

## უთავო მეთაურები ჯაგლაგი ბედაურები

„მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა ვაკის აგურის ქარხნების ადმინისტრაციამ არ იზრუნა წყალის მოსამარაგებლად. ამ დღეებში ქარხნები სრულიად უწყალოდ დარჩა. მუშები სამუშაოს სტოვებდენ რამოდენიმე საათით და ქაში გარბოდენ წყლის დასალევად".

მუშკ. მეალიზეს წერილიდან.

საერთოდ ძნელია თავის დაკარგვა, მაგრამ საბუთი ამის აქ არ გვაქვს, რომ თავი საერთოდ გააჩნდა ვაკის ქარხნების ადმინისტრაციას. გამგე ეწოდება ამ „ძვირფას გრაციას", რომელსაც მუშებმა არა ერთხელ მისცეს რჩევა ამხანაგური, რომ თუ უნდა—დროზე დამზადდეს აგური, საჭიროა წყალის მომარაგება; ძნელი არ იყო ამის გაგება, მაგრამ ისე გამოატვინა „განგებამ" გამგე ცხვირ-ზეალმართული, რომ როცა იგი მუშების თვლაში იყო გართული—ონკანმა ქარხნებს უჩვენა ბრანწი და წყურვილისაგან ყელ ჩანახლანწი მუშები დაეთხოვენ სამუშაოს.

·ბიჭი ხარ და ასეთ პირობებში გაზარდე მუშების ხალისი, შეასრულე გეგმა, დაამზადე აგური და ალიზი, შეამცირე თვითღირებულება. ერთის სიტყვით... ასეთია ჩვენი დებულება: ტარტაროზს სხვა გზა არ ეგულება გარდა მაგარი პანღურის მათ მიმართ, ვინც ხელს უშლის წესიერ დამზადებას აგურის.

## ქუთაისის „გმირი"



### კირილე, კირილეისონ

კირილე ვარ წივწივაძე,
„ბივში" გამგე გამსახლისა.
მოტრფიალე მუშტი-კრივის
და წესების არ-ახლისა.

ცუდი საქმე რომ მიქნია,
რამდენია არც კი ვიცი.
თითო თუმნად შევისყიდე
გამსახლიდან სამი კვიცი.

მათში ერთი ჯერ მუცელში
დედას ჰყავდა, რომ ვიყიდე...
ძლვნად მივილე ბალი გოდრით
მხრ[illegible]ზე მ[illegible] გა[illegible]კიდე.

გამგე ვიყავ გამსახლისა,
ეკრეჟიმის — ბულა მტერი.
ხელს მიწყობდენ (მა რას იქმნდენ!)
მოლარე და ბუჰლალტერი.

ი.

## საქნეს კვაჭურად აფასებს და მუშებს სცანცლავს აბაზებს

„აბრეშუმის საქსოვ ახალ ფაბრიკაში მექანიკურ საამქროს შემფასებელი კომახიძე—სისტემატიურად ატყუებს მუშებს, უკლებს შეპირებულ ხელფასს და ამით ხელს უწყობს კინკლაობასა და დისციპლინის დარღვევას".

მუშკ. დრაკონის წერილიდან.

ძველი მოურავი, თუ ძველი ნაცვალი—კიდევ გვყავს აქა-იქ კანგამოხნაცვალი კანქვეშ ძველი აქვთ მათ კვლავ მარიფათი. გავიცნოთ მაგალითად ერთი „სიფათი": ეს გახლავთ ვინცხა კომახიძე, ვინცხას შინაური და ვინცხას სიძე, რომელსაც ენა აქვს კუდის სიგრძე, ხოლო კუდი მისი შეშურდება მელას.—გესმოდეთ ყველას, იგი მოევლინა აბრეშუმის ახალ ფაბრიკას და საქმე მოაჭახრაკა ამრიგად: კომახიძე მანქანის ნაწილებს აფასებს და სცანცლავს მუშებს—მანათებს თუ აბაზებს, არღვევს დადებულ პირობას და ყველას აბრაზებს. მისი უხეში მოქმედება იმდენად შეუფერებელია, რომ აქ აღწერაც ძნელია, კომახიძე ფეხქვეშ ხთელავს შრომის კანონს, არღვევს დისციპლინას და რაც აქამდე ითმინა საამქროს მუშებმა კმარა,—დღეს მათ ტარტაროზი წამოეხმარა და მისი ჩანგალი როდია ხამათ, რომ მუშების ნაოფლარი ვინმეს შეარგოს შხამათ!

## მამათელმა მამლაყინწამ ეს საპარკე მთლად წაბილწა

„ს. მამათის საპარკეში პარკის მიმღებად მსახურობს გიორგი ჩხაიძე, რომელიც უხეშად ეპყრობა გლეხებს და პარკს ახარისხებს იმის მიხედვით „თუ როგორ მოეწონება თვალში" პარკის მიმტანი გლეხი".

მუშკ. პურისძირელის წერილიდან.

არის სოფელი მამათი, ამას რათ უნდა კამათი, რომ აქაური საპარკე თუ იქიდან ჩხაიძე გიორგი არის გულგანარისხი ან თუ უკმაყოფილებას. ჩხაიძე განაგებს იმ განყოფილებას, რომელიც ღებულობს დამზადებულ პარკს, ზოგს გლახას და ზოგს კარგს. ამისათვის არჩებობს წესი და ხარისხის თუ ჩხეიძე გიორგი არის გულგანარისხი ან თუ არ მოეწონა გლეხის ცხვირი და თვალი (გან საკუთრებით თუ მიმტანი იქნება ქალი), მორჩა მაშინ პარკის საქმე. გარკვევით გეუბნებით აქ მე, რომ საუკეთესო პარკს, ის მიიჩნევს როგორც უვარგისს და მეტ ბარგს, გლეხის ნაოფლარს ახე აბახებს, და თან ჩაიტრაბახებს: „ახვა ბიძია, მე ვარ აქ ყველაფერი, რომ მოსულხარ დედაბერი—და თან სიტყვასაც ბედავ ჩემს ძალას ვერ ხედავ?..

მამლაყინწო ჩხაიძე? ყიყ-ლი-ყო-ოო მამათში როდემდის უნდა იბრიყვო? დროა აგივარდეს გულის კანკალი—მოდის მაქეთ ტარტაროზი—ბასრი ჩინგალით.

## დუყინი ძაღლი წუწკია სასადილოში ცუცქია

„ტყიბულის მუშათა სასადილოში დათარეშობენ ძაღლები. მოსადილეს დიდი სიფრთხილე სჭირია, რომ მაგიდიდან კერძი ძაღლმა არ მოსტაცოს".

მუშკ. „გვირაბელი"-ს წერილიდან.

ორიოდი სიტყვა მართალი
და არა გადაკიბული.
მინდა მიუძღვნა ექსპრომტად
მე სასადილოს ტყიბულის.
ეს სასადილოთ კი არა
ფერმად ივარგებს ძაღლების:
წუწკ მეძებრების კრებაა
დაბლებისა თუ მაღლების—
ისმის ღრენა და წკმუტუნი—
შესვლა არ არის ადვილი.
ვაჟკაცობაა თუ სჭამე
აქ უვნებლად სადილი.
შენ სჭამ? მურასაც გაუყავ,
გაუყავ ნუ იპრანჭები,—
თუ გსურს რომ მთელი გამოგყვეს
სასადილოდან კანჭები.
რას ფიქრობს ნეტა პატრონი
ხმა რომ იირ აუმაღლია?—
აჰუ, რამდენი წუწკი ღრენს,
ჰაუ რამდენი ძაღლია!

## ქუთაისის „გმირი"



ალ. ქუთათელაძე (ქუთაისის „ეპო"-ს თავმჯდომარე): — ტელეფონზე უკეთესი მეცნიერებს არაფერი გამოუგონებიათ! გამოგიგზავნიან დაწინაურებულს სამსახურში მისაღებად, სიამოვნებით მიიღებ, გაგიხარდება მისი მოხვლა, გაგზავნი განყოფილებაში და კარებში მისი გასვლისთანავე, აიღებ ტელეფონის მილს და დაურეკ განყოფილების გამგეს: „ეხლა დაწინაურებული გამოგიგზავნე, მარა არ გაგიწყრეს ღმერთი და სამსახურში არ მიიღო. უთხარი—ძალიან კარგი, მარა თავისუფალი ადგილი არ არის... შემოიარეთ ორიხამი წლის შემდეგ-თქო...

აი ასეთი კარგია ტელეფონი, ვენაცვალე მას მომგონს. ეს რომ არ გამოეგონებიათ ჩემისთანა საცოდავი სხვა არ იქნებოდა — ტყუილში ყოველ ფეხის გადადგმაზე დამიჭერდენ.



— ხედავ გიორგის წვერი მოუშვია! ალბად კინო-არტისტად გახდა!

— არტისტობა კი არა, დაჭერილი იყო ხულიგნობისათვის და ესლა გამოუშვეს.

ქუთაისი



— მეორე ჩექმა რა უყავ, კაცო?

— სადგურის ქუჩაზე რომ ტალახია, იქ ჩამრჩა და ვერ ამოვიღე!

იმედის დალუკვა



ᲙᲣᲚᲐᲙᲘ:—მე-16-ე ყრილობამ ჩემს იმედებს მთლად დაუსვა ჯვარი!



— შესდექ! მე შენ გასწავლი, თუ როგორ უნდა ქურდობა!!

— შენ გენაცვალე, მასწავლე, თორემ ეს ერთი ხანია არაფერი გამომდის!



— ბლომად დაასხი, ტარაკანი არ ჩაეყოლო, ძვლებიც იქით გადააწყვე, თორემ დავიღუპებით, ხომ იცი—მუშკორის კერძია.



ᲒᲣᲚᲐᲓᲘ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲑᲘ

---

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲢᲠᲤᲝᲡ

## (ᲛᲐᲠᲜᲘᲡ ᲗᲔᲛᲘ)

ცაცო, რა ვქნა, რა გიყო ვერსად ვერ მოვახერხე შეგხვდე და დავტკბე, შენთან ჭუკჭუკით. დაიქცეს ჩვენი სადგურის ამშენებელი კომისიის წევრების ოჯახი, რავა იგენმა სადგურის გეგმები დაალპო და დაამყავა. ქე მაინც სადგური რომ ეშენებიათ, შევიყუდრებდით სალამოობით და ალერსით დავტკბებოდით, თვარა ამ დამტვრეულ ბაქანზედ გარება მცხვენია.

კი, მართალია, შეყვარებულებს სიბნელე ურჩევნიათ, და ჩვენ ბაქანზეც ელნათურებიც ციცინათელასავით ხანდისხან დაანათებენ, მაგრამ ნეპრიატნო მაინც.

თედორეს მიეცეს ჩვენი ცოდვა, მან გაგვიპროექტორა სადგურის გაშენების საქმე, მას ჰიშკართან რომ უნდა სადგური ეიშენოს და ხალხი ამაზე არ ეთანხმება.

რა ვქნა არ ვიცი, ლამის გავგიჟდე.

მოიცა, მოიცა, ეს ძალიან კარგი გამახსენდა. სამკითხველოში მოდი სალამოობით, სხვები თუ არშიყობენ ჩვენს სამკითხველოში, ჩვენ უკანონო შვილები ხომ არ ვართ? მაშ ასე, მოუთმენლად გელოდები სალამოს ხუთ საათისათვის საკმითხველოში.

ზრაგუნა

# Ჯ Უ Მ Ა Თ Ი

ეხეს შევცხწარ მღეროდა ახე:
ნოქრობაში ვარ ბიჭი ქებული.

ქვეყნის საუნჯე და ხიძვირფასე,
მიყვარს გოგონა ახვირთქლებული...

თუმც ერთ მათგანსაც ვერ უშხელ ზრახვას,
ვარ ჩემთვის ჩუმად, ვუცქერი შორით,
მაგრამ ფულთან კი არ ვიცი მარხვა,
ო, მისთვის მზად მაქვს უბე და ტორი,
განყოფილებას ვუქენი ქადი,
იქ ჩემთვის ნიჩაბს დაცხეს მათ ქონი,
ზედ დამხვეს, მაგრამ ვქენ ხტომა ხწრაფი,
სასადილოსკენ გავსცურე ფონი.
სასადილოსაც ხომ არა უშავს,
ხშა და ჭამისა კაცს თუ აქვს მადა.
ღორებს ფახუქებ მუქთი საკვებით.
არ მიყვარს კერძი უბრალო, ხადა.

ᲩᲐᲮᲣᲜᲓᲐᲠᲘᲫᲔ.

# დეპეშები

## ბედნიერი დღე

ძირულა. დღეს, 10 ივლისს, ფოსტის გამგეს ჭუმბურიძეს გლეხებისათვის ცოლ-დედა არ შეუგინებია. გაზეთებიც ადრე დაარიგა: ივნისის უკანასკნელი ნომრები უკვე მიიღეს ხელისმომწერლებმა. გლეხობა შეშინებულია—„ვაი თუ მისი ასეთი საქციელი, რაღაც დიდი უბედურების წინამორბედია"-ო... (ძია).

## „კულტუროსნები"

ოფეთი (ქუთ. ოლქ.) ადგილობრივმა ახალგაზრდობამ ზოგიერთი მასწავლებლების თაოსნობით, მასწავლებელ ოლიას წინადადებით და სამკითხველოს გამგის დასტურით სამკითხველოში გახსნეს სამიკიტნო, ვინაიდან ნამდვილ **„სამიკიტნოში სიარული არ შეჰფერის ინტელიგენციას"** (მათი სიტყვებია). (მამედა).

ოფეთი (ქუთ. ოლქი). შვიდწლედის გამგე ალიოშა ცინცაძე მეგობარ ნიკიტა ცინცაძის დახმარებით შეუდგა გლეხებში ხელისმოწერის შეკრებას გასაბათილებლად იმ წერილისა, რომელიც დაბეჭდილი იყო „ტარტაროზში" მისი ძმის ლუკას შესახებ. მაგრამ გლეხებისაგან პასუხად მიიღო: — ყველაფერი სიმართლე ეწერა და როგორ უარვყოთო!.

სულ შეკრიბა ორნახევარი ხელისმოწერა.

(ისარი)

## მოძრავი სამკითხველო

სამტრედია. ამ ცოტა ხნის განმავლობაში სამკითხველომ ცხრაჯერ გამოიცვალა ბინა. ადმასკომი ამ გარემოებას ასე ხსნის: „თუ მთა (ხალხი) არ მოვა მაჰმადთან (სამკითხველო), — მაშინ მაჰმადი (სამკითხველო) მივა მთასთანო (ხალხი). (ლე-ვა).

## ფასების დაკლება

სადგ. სვირი. სადგურის უფროსის თანაშემწემ პლატონმა შეამცირა სამაყარიო გადასახადი ბარგის გამოწერაზე: თვითეული ბარგის გამოწერისათვის თხოულობს ერთ დოქ ღვინოს. (აქაური).

## ვინ არის?

სადგ. სამტრედია. დაიკარგა უცნობი გამფლანგველი, რომელმაც ორი წლის წინედ კომპარტიის 65 წევრს გამოართვა თვითეულს 45 კაპ. და ორ-ორი სურათი იარაღის ტარების ნებართვის ასაღებად. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოთ სადგ. სამტრედიის კომუჯრედში. (აქაური)

## წუნებული რწმუნებული

ბუქსიეთი (ოზურგეთის მაზრა). ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ გასამართავ წარმოდგენაზე ხევმა თავის რწმუნებულად მოავლინა კოდრატე ანთიძე, რომელსაც უარი უთხრეს მიღებაზე და უკან გააბრუნეს, რადგან მოაგონეს ძველი ცოდვა—მის მიერ გადაყლაპული 50 მანეთი იმავე სამკითხველოს კუთვნილება.

(კ. ღ-რი).

## ულტიმატუმი

სურამი. შვიდწლედის მასწავლებელმა ქალმა კვაჭაძემ ადგილობრივ მასწავლებელთა ცოლებისაგან მიიღო ულტიმატუმი: „თავი დაანებე ჩვენს ქმრებთან არშიყობას თორემ... (გამოტოვებულია). საღამოს ქუჩაში დახვდენ და მაგრად მიბეგვეს. (ვაგუნი)

## „დიდი კაცი"

ქუთაისი. კინო „რადიუმი"-ს გამგე სარჯველაძე, შევიდა რა **რუბჩიცის** მდგომარეობაში, რომ ის უკანასკნელი თვეში 300 მანეთს ღებულობს და ჰყავს უამრავი ნაცნობი ქალები, მისცა მას ლოჟაში მუდმივი 4 ადგილი. (ჭრიჭინა).

# სხვა მიზეზი



— სუფრას უცდიან' მალე მოვრჩეთ სადილს!

— სუფრას კი არა, ჩვენ ანგარიშს უცდიან, რომ გაიგონ, თუ კიდევ რამდენი მოუმატეს სადილის ფასს.

# ჩემი დღიური

**2 ივნისი.** გამოცდა დღეს ქართულში მქონდა. თემა დამაწერიეს. იცოცხლე, „ფრ" (ფრიადი) თუ არა „დმ" (დამაკმაყოფილებელი) მაინც მომართყან. ჩვენს ბიჭებში სულიერი მდგომარეობა ნორმალურზე უკეთესია. თავს არავინ იტეხს გამოცდებისათვის. სარწმუნო ხმები დადის: ატესტატებს ყველას მისცემენ განურჩევლად სქესისა და ხნოვანებისა.

**4 ივნისი** მათემატიკის მასწავლებელს ისე გაურბივარ როგორც ცოფიან ძაღლს. მის საგნებში „აბსოლიუტნო ნიჩევო ნე ზნაიუ" მაქვს, მაგრამ რაში მჭირია მათემატიკა. რომ დოუკვირდეს ჭკვიერი კაცი—არაფერში: თვლა ვიცი და ფულებს ვცნობილობ, სხვა რა მინდა!

**6 ივნისი.** საბჭოთა კონსტიტუციაში ქე გევედი მგონია; მარა ერთი იმისთანა კითხვა მომცა, რომ ქე ჩავჯექი ორივე ფეხებით.

— თქვენ სთქვით, უზბეკისტანი საბჭოთა კავშირში შედისო. ეს მართალია, სად მდებარეობს უზბეკისტანი?

— სად მდებარეობს უზბეკისტანი?—გავიმეორე მე და პასუხის გასაცემათ მოვემზადე, მარა რას გასცემ! როგორც ღმერთი არ ვიცი სად ეშმაკშია, ისე უზბეკისტანი არ ვიცი სად მდებარეობს. ტეხნიკური მოსაზრებით ვამჯობინე პასუხი არ გამეცა შეკითხვის წმინდა გეოგრაფიული რაობის გამო.

**8 ივნისი.** ჩვენს ბიჭებში სულიერი მდგომარეობა საუცხოვოა. ყველა დარწმუნებული ვართ, რომ ატესტატის მიღებისთვის მინიმალური ღონის დახარჯვა არ ღირს. ამბობენ: — ვისაც პურის წიგნაკი არა აქვს, ატესტატს არ მისცემენო. მე რას დავეძებ: ორი სულის პურის წიგნაკი მაქვს.

**9 ივნისი.** გული არავის არ დაგვწყვიტეს— ატესტატები ყველას მოგვცეს. მაშ უნივერსიტეტისაკენ... იარრრ!

**კატი ბუ.**

# რუსული იუმორი



— აპა, ჩქარა დაამთავრეთ შენობა. გეგმის მიხედვით აქ სხვა შენობა უნდა აიგოს,—და მოვედით ამ შენობას დასანგრევად!



ბიუროკრატი: — ეს რა თავხედობაა! თქვენ ჩემი ადგილი დაგიკავებიათ!

დაწინაურებული: — თქვენ კი დარწმუნებული ხართ, რომ თავის ადგილზე იჯექით?



— გაიგე? ბაზარი დაკეტეს. ეხლა მაგათ საქმე წასულია!!



— გაიგე? ბაზარი ისევ გახსნეს. ეხლა მაგათ საქმე წასულია!



— ეჰ, ნეტავი წერო ვიყო!

— რატომ?

— გავფრინდებოდი და ვერავინ დამიჭერდა.

# ნახევარ სულუგუნის შესახებ

ჩემი სახელი რა საჭიროა,
ან ვის რად უნდა თუნდაც გვარია;
ცხადია მხოლოდ, რომ მუშკოოპში
არ მიჭამია ხრაკი ვარია.
შევცდი და ცოდვილს მინდოდა მხოლოდ
მეგემნა შემწვარ სულგუნის გემო,
ამიტომ შეველ სასადილოში
მუშკოოპის (კერძო რათ დავიჩემო!)
— ჩემო გამრიგევ, ნახევარ სულგუნს
მოვითხოვ შენგან შემიწვი ხელად,
მთელს მოვითხოვდი, მაგრამ რვა აბაზს
როგორ გავწირავ მე მარტოხელა!
აქ გამრიგელი გამიჯიუტდა
და მიპასუხა მე სიამაყით:
— ნახევარ სულგუნს ჩვენ ვერ შეგიწვავთ
საქმე იქნება ეგა საჯაყი!
— რატომ ნახევარს, განა ვინმე ვარ
ბურჟუაზიის რამე პროდუქტი,
რომ მთელ-მთელობით ვყლაპო სულგუნი
ხომ არ გგონივარ მე კვების პუნქტი?
—მაშ ნახევრობით სულგუნს არ ვყიდით.
გვაქვს დირექტივა ჩვენ მოცემული;
ნუ გაჯავრდები, ნახევარ ყველით
თუ არ დაგვირჩე პატივცემული.
*ყოფ. „სიმპატიის" სასადილოში
მოხდა ამბავი თხრობილი ესე;
ეს სასადილო გახლავთ მუშკოოპის
სად მანეთებს სულგუნში ვთესე.
თუ ნახევრობით სულგუნის ჭამა
აკრძალულია სასადილოში
გვიჯობს მოვშორდეთ ასეთ სახელებს
და ვისადილოთ სადმე გროვში.
ნახევარ ყველის მოდირექტივე
ნეტა სად სხედან მაამიტებმა,
რომ ერთი წასმულ ტაფას დაგაკრათ
თითონ ეს უხვი „მონარქიტები"?!..

გუჯ.

## სცენა სამაზრო აღმასკომში

— ბატონ ამ ვურჩეულდენიეს ვუმფროსს გოუმარჯოს: შეიძლება შემოვიდე.

პაწიე საქმე მაქვს და...

— შემოსული არა ხარ?

— ავ! ჩემი სიკვდილი! ისთე მაქვს არეული ტვინი ამ ჩვენი სოფლის კოლიქტივიზაციით, რომ, ჯერეთ კიბეზედაც თუ ამოსული ვიყავ, კი ვერ შევნიშნე...

— ხო, მერე?

— მერე და ისა, რომ დაუჯინიათ ჩვენი სოფლის აღმასკომში და კულაკს მეძახიან. შავ სიაში მატუციეს თავი, ინდივიდუალურადაა თუ რაცხა იბრობა ისთი დამბეგვეს, თავი მომჭრეს სოფელში; აბა ბოშო კაცობა? რაცხა ხუთი ძროხა, ოცი თხა, ათი ხარი, ორი სახლი და ორმოციოდე ფრთა შინაური ფრინველი, ორი მოჯამაგირე — აგია კულაკობა?! სადაა სამართალი?! არტელის წინააღმდეგი ხარო, ვინა თქვა? მეც ქე მინდოდა შესვლა, მარა არ მიმიღეს...

— ჰმ! შეხვიდე შიგ რომ „ციხე შიგნიდან დაანგრიო"? ვერ მოგართვით!

— რაიო?!

— რაი და სწორედ მოეცეულანთქვა, ჩემო სამსონ.

— რავა, მიცნობთ, თუ?! აწი ვისი ხარ ბოშო შენ?! მაცა, მაცა, რაცხა მეცნობა...

შენ კოსანდილეს სიმონიკა არა ხარ? აგერა ჩემი კოსანდილე სოფრონიჩისა, მთელი სოფლის პაპუნადებ გვამის? ა?! ავ! არა მჯერავს!..

— ნუ თუ?!

— კი შენი ჭირიმე, რავა არა.. განა არა მესმოდა, დიდი კაცი შეიქნაო, მის ხელქვეით რამდენიმე ასი კაცი მუშაობსო, და, აბა რავა ვიფიქრებდი, რავა ისთე გამაბედნიერებდა ღმერთი, რომ ასთე პირდაპირ დაგეტაკებოდი... ა, მაშ სიმონიკა ხარ? კი, რავა არა, ქცევა, ლაპარაკი, სულ მამისა გაქვს... მახსოვს, ამხელა იყავი წინად. პაწია კოსანდილემ ხურჯინით რომ ჩაგიყვანა ქუთეისში და ვგონებ იქანე ღიმნაზიაში მიგაბარა... მერე ხომ უნივერსიტეტში იყავ და ბოლოს ცერკოვნო - პრიხოდსკოი სკოლაში დაათიე ვგონებ... კი შენი ჭირიმე, რავა არა... ხო, და...

— რას მიჰქარავს ეს ჩერჩეტი? ისე დაბერებულა, რომ... ვერც კი მცნობს კარგად...

ჰო, მაინც რითი შემიძლიან გემსახურო?

—რაითი, იეძო სიმონიკავ, და... რამეფერ უნდა აღმიდგინო ხმაი, ეს კულაკობიეა თუ რაცხა ეშმაკი მომაცილო ეგი სახელი, შემამსუბუქო გადასახადის ტვირთი, თვარა, ბარე ყელი აქანევე რომ გამომჭრა იგი მიჯობს... მერე და, სხვაი აფერი იყოს, ბოშო, ნათელ - მირონებიც ქე ვართ... საწყალი შენი ბაბუეს ბაბუა, ღმერთმა გაანათლოს საიქიოს, ხო, იმას ვამბობდი, იმან რომ მეხუთე ცოლი მეიყვანა, გახსოვს, ფატიე, და მას გერი მოყვა, ბიცოლა ჩემის სიძის შვილი რომ იყო, პეტრია, კი, რავა არ გახსოვს, ვეზდის ნაჩალიკთან არ იყო, სტრაჟნიკად? ხო, და.. იმისი ნათლული იყო... კი შენი ჭირიმე, ჰო და.. შენ თუ არ გამიმართე ხელი, ისთე ვის მივადგე?

— ეგ მერამდენე ეტაჟზეა ჩვენი მოკეთეობა?! ესე იგი, ჩვენს კატას და თქვენს კატას, მარტში ერთად საცხა ფაცხაზე უჩხავლიათ არა? რასა მთაფლავ, ნესტორ და, მატყუებ? აწი ვინა [illegible] არ შენ [illegible] გეყო, შენთან მოჯამაგირედ რომ ვიყავი და მატყუე!

—რაიო?! ვინა ხარ აწი, ბოშო?!

— ვინა და აქაური შიკრიკი, დაწინაურებული... აწი გიტირებ ყოფას!

— ??!!

ტანკა.

## ქურდობის წინააღმდეგ

### ქურდობის წინააღმდეგ მცხეთის სახერხ ქარხანაში



— წყალის დალევა მინდა, მაგრამ

[illegible]

## ჭიათურა

თავისუფლების ქუჩა
№ 3 სახლი.
არვის ეგონს ქუჩად
დამშვიდებული სახის.
ლაძღვა, გინება, დავა,
არ მისაწდომა ყურთან,
ინთხევა როგორც ლავა
სახლის პტრონი მდგმურთან.
იქ მცხოვრებ ქალებს, მუშებს,
მისით მობეზრდათ თვი,
არქმევს როსკიპებს, მრუშებს,
როც შინ მიდის მთვრალი.
ერთი ჩხუბი და ომი
იმისთვის იცის თურმე:
ფულს რატომ იხდის ზომით,
ხელში არ უშლის თუმნებს!
სახალხო სასამართლომ
და რაიმილიციამ,
პირობა ჩამოართვა,
მოუკვლებს ენის ტრიალს.
მაგრამ მის ენას ქავილს
ბოლო კვლავ აღარ უჩანს,
ვინ გახდის თავისუფალს
„თავის უფლების ქუჩს"?

გუტუ.

## ტელეფონთან

### (სამტრედია)

— წკრრ! ეპოს კანტორა? ვინ ბრძანდებით ტელეფონთან? ირაკლი? ჰო? გამარჯობა ირაკლი! როგორაა კომპერატიას საქმე?

კარგათ თუა, კარგია, მარა თუ ძმა ხარ მაქანე კანტორაში რომ ვინცხაა გალიფე შარვალი ანი დ აზიაცკებიანი ბიჭია, ვინაა ის?

— რავა, ვერ მიხვდი? შე კაცო ყოველ საღამოს მთვრალი რომ ეგდია სასადილოში? ჩხუბისა და განებსის მეტს რომ არაფერს აკეთებს? რომელი კოლია ბებია? არა, კაცო, არა. გუშინ წინ კლუბში,—ალეგრაში ჩხუბი რომ ქნა, ბოთლები რომ დაამტვრია!

ჰო, ჰო, თქვენი საქმის-მწარმოებელი რომ არის, იმაზე გელაპარაკები. რა გვარია? კოლია მიქელძე?

ჯანაბას მისი თავი და ტანი.

კაცო, ამ მსუბუქ-კავალერიას შემოელია საქმე თუ რა არის, რომ სულ სერგო ახობაძე, თქვენი საწყობის გამგეზე, რომ სწერს გაზეთში—საქონელს ნაცნობებს ატანსო? ბიჭო, მართლა მოხერხებულად ატანს, თორემ რავა ვერ შევისწარით მე და ნესტორმა.

„ტარტაროზი"-ს ძმ.

# კონკურსის შედეგი

კონკურსი დამაკმაყოფილებლად ითვლება. მონაწილეობა მიიღო 1027 კაცმა.

**პირველი ჯილდო 25 მანეთი** ხვდა წარწერას:

გადაგვარებული

— საკვირველია, რატომ ვებრძოდი ბურჟუაზიულ ცხოვრებას, როცა ის ასეთი კარგი ყოფილა.

ავტორი — მარო ელიუშულის ასული წითაიშვილი (მუშა-ქალი).

**მეორე ჯილდო — 15 მანეთი.**

უცხოეთში

**ცოლი:** — ამ წიგნში ისე კარგად არის აღწერილი საბჭოთა კავშირი, რომ — შენ რომ გამიშვა, უეჭველად იქ წავალ.

**ქმარი:** — რაღა იქ მიხვალ! მგონი თვითონ მოვლენ ისინი აქ!

ავტორი — ვასილ სიმონის-ძე მაჩაიძე (შრ. სკოლის მოწაფე).

**მესამე ჯილდო — 10 მანეთი**

ჩვენი დროის კეისარი

**— აქ სწერია, თითქოს კეისარი ერთხადა იმავე დროს რამდენიმე საქმეს აკეთებდა!**

**— ჰმ! მერე რა! მე სამ ალაგას ჯამაგირს ვღებულობ და არსად არაფერს ვაკეთებ!**

ავტორი — **ალექსანდრე გრიგოლის-ძე პატარიძე** (სტუდენტი).

ჯილდოს მიღება შეიძლება გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორაში, ჯორჯიაშვილის ქ. № 6.



# გოდორი

**კორიანტელს** (ფოთი, ნახუტურის უბანი) კლუბის შესახებ გვწერთ, რომ:

**კლუბს გამგე ჰყავდა სამ თვეში ოთხი**
**ვერც ერთმა მისცა მაინც ხეირი,**
**და რაც ხანია, ჩამოინგრევა;**
**მოდით და ნახეთ მაშინ ხეირი.**

ჩვენის აზრით კლუბის დანგრევის მიზეზი სწორედ ის არის, რომ სამ თვეში ოთხი გამგე გამოუცვლია.

**ტანკას** (ტყიბული, მაღარო) შეგვატყობინეთ: არსებობს თუ არა მანდ ადგილობრივი ხელისუფლება, და თუ არსებობს, რა ზომებს ღებულობს კახაძის წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელი მუშკორს სცემს და ემუქრება:

**ქვეყანა ფეხზე მკიდია**
**და რევოლვერი — წელსაო.**
**ვაი თუ კიდევ გაბედე,**
**გაგიხვრეტ მკერდს და წელსაო.**

**ვასმახს** (სუფსა): — დიომიდეს შესახებ იხილეთ „ტარტაროზი“-ს № 24-ში.

**ცოლიან ქვრივს:** — გვატყობინებთ თქვენს გაჭირვებასა ცოლის გაპარვის შესახებ:

**ხუთ წელიწადს იყო ჩემთან,**
**შვილიც გვყავდა ერთი.**
**მაგრამ ეხლა გამეპარა,**
**მას გაუწყრეს ღმერთი.**

თას ერჩით! კიდევ კარგი რომ ამდენხანს გაუძლია თქვენთან. ამისთვის მადლობა შეუთვალე წერილობით ან სხვისი პირით. (თვითონ არ წახვიდეთ).

**ოლიმპიელს** (ბათომი): — დავბეჭდავდით, მაგრამ გვეშინია — ვაი თუ უარესი დაგემართოთ, ვიდრე:

**ადუღდა ტვინი, ადუღდა,**
**ველარ ეტევა თავშია.**
**მხურს ნაპირიდან გადავხტე,**
**თავი დავიხრჩო ნავშია.**

თუ მართლაც სერიოზულად გაგინზრახავთ ასეთი საქმე და არა ჩვენს დასაშინებლად, რომ ლექსი დაგვებეჭდა, — მოგაგონებთ, რომ ნაპირიდან პირდაპირ ზღვაში გადახტით და არა **ნავში.** (ნავში როგორ შეიძლება ასეთი საქმე!)

**მოუსვენარს** (ქუთაისი)—თუ „საგზაო სააღმშენებლო სამმართველოში თოფის წამალივით აფეთქდა ორბელიანი—„**როგორ თუ გამწერეს „ტარტაროზში“. მუშკორი პასუხისმგებაში მიეცით, თორემ სამსახურს თავს ვანებებო,** — და მის განცხადებას წააწერეს: „**განთავისუფლებელ იქნეს სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა**“-ო, — ძალიან კარგად მოქცეულან.

მერე რა ვუყოთ თუ ორბელიანმა ყურები ჩამოჰყარა:

**— ვა, მე ეს არ მეგონა! მართლა მომხსნეს! ვაი შენ ჩემო ბრიყვო თავო!**

**მაძებარს** (ხონი). ჩვენც ბევრი ვეძებეთ თქვენს წერილში ხეირიანი ადგილი, მაგრამ ვერ ვნახეთ. საჭიროა მასალის უკეთესად დამუშავება. ეს წვრილმანია.

**პ. კვინიას** (ყულევი). გიდასტურებთ, რომ ყულევის საფერშლო პუნქტის გამგის შესახებ მოთავსებული ცნობა „ტარტაროზი“-ს № 19-ში, თქვენ არ გეკუთვნის,— **ავტორი სხვაა.**

# შიშს დიდი თვალები აქვს

საქ. მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР



მემარჯვენენი: — ალბად დათვია! თავს ვუშველოთ.
— არა, მგონი სპილოა! გავიქცეთ!

„ტარტაროზი"-ს შემდეგი ნომერი სპეციალური **რკინის გზის** ნომერია